

შპს სიმეტრა ს/კ:204567174

ტელ: (032)2 14 55 88;

email: info@orei.ge



შპს სიმეტრა
ს/კ: 204567174

ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის



სარჩევი

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ	3
საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა	3
კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე	8
დანართი #1 - ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	13
დანართი #2 - კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	14
დანართი #3 - მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	15
დანართი #4 - ფულადი ნაკადების ანგარიშგება	16

1. ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

ზოგადი მონაცემები საზოგადოების შესახებ

საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა – შპს, რომელიც რეგისტრირებულია 08.04.2009 წელს, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საქარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს ს/ნ 204567174, იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, ულიანოვის ქ. N29. მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო და სანიტარულ-ჰიგიენური დანიშნულების ქაღალდის წარმოების წარმოება.

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

ზაზა გაიაშვილი (პ.ნ. 01024016860) - 49%

გიორგი ტყემელაშვილი (პ.ნ. 01017003865) – 49%

ბექა სიხარულიძე (პ.ნ. 01019069277) – 2%

2. საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, ფიქსირებული აქტივების ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულ - ლარში. საწარმოს ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების“ შესახებ მოთხოვნათა შესაბამისად.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები ფიქსირდება ოპერაციის მოხდენის დღისათვის ოფიციალური კურსით ლარებში. სავალუტო პოზიციების მიხედვით წარმოქმნილი კურსთა შორის სხვაობები აისახება ფინანსურ შედეგებზე.

დებიტორული დავალიანება

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის დებიტორული დავალიანება (მოთხოვნები) აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შენონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ნაყიდი ძირითადი საშუალებები აისახება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს: ნასყიდობის ფასს, მონტაჟის, ტრანსპორტირების და სხვა პირდაპირ ხარჯებს. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ცვეთის თანხით.

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურებიდან/საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება/საქონელი მიენოდება და მასზე საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებასა ან ზარალში, როდესაც განეული იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

გადავადებული მოგების გადასახადი აღარ მიესადაგება ფინანსურ ანგარიშგებებს, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ახალი საგადასახადო კოდექსით აღარ გამოიყენება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ-პროგრამულ უზრუნველყოფასა და ბრენდირებასთან დაკავშირებულ მომსახურების მიღებას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივის ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის

ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კვალიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახადები აისახება მოგებასა ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოფერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადამღვევო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება სანესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისაგან, დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როცა გამოცხადდა. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნებში.

შემოსავლები და ხარჯები

საზოგადოება მუშაობს დარიცხვის მეთოდით, სადაც შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა მომსახურება გაწეული, მიუხედავად მის სანაცვლოდ ფულადი სახსრებისა ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა.

შემოსავლები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მათი წყაროების მიხედვით; ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით;

წმინდა მოგება ნაწილდება და გამოიყენება: დივიდენდების გასაცემად და სხვა მიზნით.

3. კომენტარები ფინანსურ ანგარიშგებაზე

ახსნა-განმარტებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე

(იხ. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

ფულადი სახსრები (სალარო)

საწარმოში შემოსული და გაცემული ნაღდი ფული აღირიცხება საბუღალტრო პროგრამაში. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები გამოწერილია სწორად, რომელსაც თან ახლავს დამადასტურებელი დოკუმენტები, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სალაროს ნაშთი არის 1,013 ლარი.

საბანკო ანგარიშები

საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში რიცხული ფულადი სახსრების ამსახველი ანგარიშები წარმოებულია სწორად, საბანკო ამონაწერებისა და შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე. ანგარიშები გახსნილი აქვს სს „პროკრედიტ ბანკში“, სს „საქართველოს ბანკში“ და სს „თიბისი ბანკში“. საერთო ფულადი თანხა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 16,978 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
სს პროკრედიტ ბანკი	4,451
სს საქართველოს ბანკი	7,916
სს თიბისი ბანკში	4,611

მიმდინარე აქტივები

საწარმოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 94,741 ლარს.

ნედლეულისა და სასაქონლო მატერიალური მარაგები

2021 წლის მდგომარეობით ნედლეულისა და სასაქონლო მატერიალური მარაგების ნაშთი შეადგენს 511,123 ლარს:

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
საქონელი	58,636	67,335
ნედლეული და მასალები	324,965	343,064
მზა პროდუქცია	69,864	71,171
საწვავი	4,642	8,919
სხვა	47,003	20,634
	505,110	511,123

გრძელვადიანი აქტივები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 1,129,359 ლარს, მათ შორის:

- მანქანა-დანადგარები - 675,077 ლარი
- ოფისის აღჭ., კომპიუტერული ტექნიკა, ავეჯი და ინვენტარი - 33,944 ლარი
- სატრანსპორტო საშუალებები - 236,795 ლარი
- სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები - 183,543 ლარს

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
ძირითადი საშუალებები	1,455,189	1,635,984
ძირითადი საშუალებების ცვეთა	-366,477	-506,625
	1,088,712	1,129,359

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არამატერიალური აქტივების ნარჩენი ღირებულება შეადგენს 57,185 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
არამატერიალური აქტივები	73,904	81,998
არამატერიალური აქტივების ცვეთა	-17,145	-24,813
	56,759	57,185

გაცემული ავანსები

საწარმოს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომწოდებელზე გადახდილი ავანსი შეადგენს 94,741 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
გაცემული ავანსები	65,075	94,741

ხოლო სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი შეადგენს 13 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	36,750	13

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,746,705 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,402,359	1,746,705

მიმდინარე ვალდებულებები

მიმდინარე ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები შეადგენს 896,575 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	760,983	896,575

გადასახდელი ხელფასები შეადგენს 75,365 ლარს.

სასესხო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,472,282 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
სასესხო ვალდებულებები	1,294,299	1,472,282

გადასახდელი სესხის პროცენტები

გადასახდელი პროცენტები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
გადასახდელი პროცენტები (ბანკის სესხზე)	16,202	0

საგადასახადო ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულებები შეადგენს 150,641 ლარს, მათ შორის:

- დაგროვებითი პენსია - 3,856 ლარს
- სსიპ საპენსიო სააგენტო - 5,327 ლარს
- ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში - 138,302 ლარს
- ქონების გადასახადი - 3,156 ლარს

საკუთარი კაპიტალი

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მთლიანი საკუთარი კაპიტალი შეადგენს 840,061 ლარს, მათ შორის:

- საწესდებო კაპიტალი - 143,952 ლარს,
- გაუნაწილებელი მოგება - 696,110 ლარს.

ახსნა-განმარტებები მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაზე

(იხ. მოგება ზარალის დანართი)

შემოსავლები

ფინანსური კუთხით 2021 წელს მიწოდებიდან მიღებულმა ერთობლივმა შემოსავალმა შეადგინა 7,981,008 ლარი, მათ შორის:

- შემოსავლები რეალიზაციიდან - 7,833,835 ლარს
- სხვა არასაოპერაციო შემოსავალი - 147,173 ლარს

ხარჯები

საზოგადოების მთლიანმა დანახარჯებმა შეადგინა 7,833,294 ლარი. დანახარჯებიდან ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაზე - 54%, შრომის ანაზღაურებაზე - 19%, ქეშბექსა და მარკეტინგულ ხარჯზე - 9% და საპროცენტო ხარჯებზე - 1%, სანავის ხარჯზე - 3%, ხოლო სხვა ხარჯებზე - 14%.

2021 წლის წმინდა მოგებამ შეადგინა 277,520 ლარი.

ახსნა-განმარტებები ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისზე

(იხ. დანართი ფულადი ნაკადების მოძრაობაზე)

2021 წლის განმავლობაში ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი თანხა შეადგენს 8,112,655 ლარს, ფულადმა გასავალმა შეადგინა 8,102,468 ლარი, 2021 წლის საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის საზოგადოების ფულადი სახსრები შეადგენდა 7,805 ლარს, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის შეადგინა 17,992 ლარი.

კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

(იხ. დანართი კაპიტალის მოძრაობაზე)

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშიდან ჩანს, რომ 2021 წელს შემცირდა 367,200 ლარით, საბოლოოდ საზოგადოების მთლიანი კაპიტალი შეადგენს 143,952 ლარს.

2021 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #1

შპს სიმეტრა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)

	31.12.2021	31.12.2020
მიმდინარე აქტივები:		
ფულადი სახსრები	17,992	7,805
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯი	13	36,751
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	98,035	73,518
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,746,705	1,402,359
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	511,123	505,110
მიმდინარე აქტივები, ჯამი:	2,373,868	2,025,543
გრძელვადიანი აქტივები:		
ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება	1,129,359	1,088,712
არამატერიალური აქტივები	57,185	56,759
სულ გრძელვადიანი აქტივები:	1,186,544	1,145,471
სულ აქტივები	3,560,412	3,171,014
მიმდინარე ვალდებულებები:		
მიწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი	896,575	760,983
სასესხო ვალდებულებები	1,472,282	1,294,299
სხვა ვალდებულებები	200,853	78,538
საგადასახადო ვალდებულებები	150,641	107,453
მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები:	2,720,351	2,241,273
საკუთარი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	143,952	511,152
გაუნაწილებელი მოგება	418,589	131,151
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	277,520	287,438
მთლიანი საკუთარი კაპიტალი:	840,061	929,741
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:	3,560,412	3,171,014

2021 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #2
შპს სიმეტრა
2021 წლის კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

დასახელება	ნაშთი 31.12.2020	ნაშთი 31.12.2021
საწესდებო კაპიტალი	511,152	143,952
გაუნაწილებელი მოგება	131,151	418,589
მიმდინარე წლის მოგება (ზარალი)	287,438	277,520
სულ კაპიტალი	929,741	840,061

2021 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #3
შპს სიმეტრა
2021 სამეურნეო წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

	<u>2021</u>	<u>2020</u>
შემოსავალი	7,981,008	5,868,433
შემოსავლები რეალიზაციიდან	7,833,835	5,752,076
სხვა შემოსავალი	147,173	116,357
ადმინისტრაციული და სხვა ხარჯები	-7,390,933	-5,266,515
ქეშბეჭი, მარკეტინგული ხარჯი	-738,120	-594,407
თვითღირებულება	-4,193,795	-2,936,102
ხელფასის, მივლინების და საპენსიო ხარჯი	-1,546,085	-1,144,819
რემონტის და საწარმოო ხარჯები	-59,426	-46,159
ავტოპარკის და საწვავის ხარჯი	-361,842	-218,001
იჯარის, დაცვის, კომ. ხარჯი	-242,631	-165,719
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯი	-48,021	-21,517
დაზღვევის ხარჯი	-71,282	-36,567
სხვა საერთო ხარჯები	-129,731	-93,039
არასაოპერაციო მოგება/ზარალი	- 311,324	- 313,519
მოგების გადასახადის ხარჯი	-1,230	-960
წმინდა მოგება	277,520	287,439

2021 სამეურნეო წლის ანგარიშის დანართი #4
შპს სიმეტრა

2021 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება

	<u>2021</u>
ფულის ნაშთი წლის დასაწყისში	7,805
ფულის შემოსავალი	
შემოსავალი რეალიზაციიდან	8,032,402
სხვა შემოსავალი	80,253
ფულის შემოსავალი, ჯამი:	8,112,655
ფულის გასავალი	
მომწოდებლებზე გადახდილი თანხა	-3,984,220
ნედლეულის ჩამოტანა	-225,587
ხელფასები და მივლინება	-1,140,738
ბიუჯეტი და ბანკის საკომისიო	-1,270,834
დაზღვევა	-66,907
წარმოება და სამეურნეო	-121,272
ავტოპარკი და შენობის შენახვა	-492,348
მარკეტინგი	-28,206
საიტარო ქირა	-168,496
კომუნალური და საკომუნიკაციო	-77,237
სხვა გადახდები	-135,644
ფულის გასავალი საოპერაციო, ჯამი:	-7,711,489
ფულის გასავალი საფინანსო, ჯამი:	- 241,546
ფულის გასავალი საინვესტიციო, ჯამი:	- 149,433
ფულის ნაშთი წლის ბოლოს	17,992